


შპს არსი (კოლეჯი)



პროფესიული მომზადების პროგრამა

ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა

Work in an electronic accounting program

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება:
პროგრამის სახე: <input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: <input type="checkbox"/> 2 <input checked="" type="checkbox"/> 3 <input type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 10 სთ
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური ----5---- მაქსიმალური ----10-----
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება // აპლიკანტთა შერჩევის ფორმა : გასაუბრება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა შეძლოს ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა, მარტივი ბუღალტრული ოპერაციების შესრულება: პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციის საფუძველზე მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში შეყვანა, ანგარიშთა გეგმის გამოყენებით; მონაცემთა დაკორექტირება და შენახვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც ფლობენ სრულ ზოგად განათლებას და სურთ ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობის შესწავლა, მარტივი ბუღალტრული ოპერაციების შესრულება: პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციის საფუძველზე მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში შეყვანა ანგარიშთა გეგმის გამოყენებით; მონაცემთა დაკორექტირება და შენახვა;

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს „არსის“ /საზოგადოებრივი კოლეჯი/ კომპიუტერებით აღჭურვილ გარემოში, სადაც მიმდინარეობს ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობის პროგრამისთვის გაწერილი კრიტერიუმების ათვისება:

მსმენელთა განმავითარებელი შეფასება ტარდება სწავლების პარალელურად; ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ტარდება სწავლების ბოლო - მე-9 კვირას გამოკითხვითა და პრაქტიკული დავალების შესრულებით; შეფასება ითვალისწინებს ჩათვლის პრინციპს, რომელიც უშვებს მხოლოდ ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი არ დადასტურდა.

მსმენელი, რომელიც პირველ ცდაზე ვერ დაადასტურებს შედეგს, უფლება აქვს მოითხოვოს განმეორებით შეფასება; განმეორებითი შეფასება ტარდება პირველადი შეფასების ჩატარების თარიღიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

განმსაზღვრელი შეფასების დადასტურების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს.